პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 48 (18890) პარასკევი, 24 თებერვალი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

მომზადებული შევხვდეთ გაზაფხულს

- თესლი — მხოლოდ ხარისხოვანი
- ბუნებას ბუნებაც ჰქონდა მართებს ამით.
- ლეზოის — ზრუნვა და ყურადღება.

დეპუტატობის კანდიდატები

შრომით მოპოვებული სახელი

ბათუმის სახელობის საქართველოს 50 წლისთავის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივის კრებაზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 496 ბათუმის ზღვისპირეთის საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის გემთამწყობი აფრასიონ ლაშას ძე დარახველია. 25 წელზე მეტია შრომობს იგი საწარმოში. ამ ხნის მანძილზე იგი რამდენიმე მომიჯნავე პროფესიას დაეუფლა, არაერთგზის გამარჯვებია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შრომისმოყვარეობა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ინიციატივიანობა — აი, რა ახასიათებს მაღალკვალიფიციურ ოსტატს. ბრიგადა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი საუკეთესოა საწარმოში. დღეს მის გვერდით მუშაობენ მისი მოწაფეები, რომლებიც კლასის სპეციალისტები გახდნენ.

„საპატიო ნიშნის" ორდენოსანი აფრასიონ დარახველია იყო სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი, არჩეულია პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრად.

პარტკომისა მუშაობის გამოცდილება, რომელსაც აფრასიონ დარახველია ხელმძღვანელობს, მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ.

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, გემთამწყობი აფრასიონ ლაშას ძე დარახველია.

შ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მთელი წელი — როგორც იანვარში!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა

...

ნუ რჩება, მუშაკთა რიცხვი იზრდება, ამის შედეგად კი ქვეითდება შრომის ნაყოფიერება, იზრდება პროდუქციის თვითღირებულება.

სიტუაციის ძირეული შეცვლისათვის მარტო სურვილი არ კმარა. საჭიროა შევიმუშაოთ და ...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

... მონაწილეთა მასალების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

... ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა გორისა და ზუგდიდის რაიონების საზოგადოებრივ ...

... ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მთელი რიგი სხვა საკითხები.

მ. ა. შოლოხოვის დაკრძალვა

ვეშენსკაია (როსტოვის ოლქი), 23 თებერვალი ([illegible]). საბჭოთა ადამიანები უკანასკნელად გამოეთხოვნენ მ. ა. შოლოხოვს — ჩვენი დროის დიდ მწერალს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, ნობელის პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს. მ. ა. შოლოხოვის შემოქმედება უსაზღვროდ ძვირფასია.

ღრმად დამწუხრებულია სტანიცა ვეშენსკაია, მთელი დონის მიწა-წყალი, რომელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა ეპოქის გენიალური მემატიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ისევე, როგორც წინა დღეს, ათასობით ადამიანი გამოსულა სტანიცის ქუჩაში, რათა მივიდეს რაიონულ კულტურის სასახლეში, სადაც დადგმულია განსვენებულის კუბო.

დარბაზში უამრავი გვირგვინია, რომლებიც აქ მოიტანეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით, დონის მხარის საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, ახლობლებმა და ნათესავებმა.

საპატიო ყარაულში დგანან დამკრძალავი კომისიის წევრები მ. ვ. ზიმიანინი, ი. ა. ბონდარენკო, ა. ა. ეპიშევი, გ. მ. მარკოვი, ვ. თ. მაური, თ. ნ. მენთეშაშვილი, ს. ვ. მიხალკოვი, ი. ვ. ბონდარევი, ი. ნ. ვერჩენკო, ა. ვ. კალინინი, ნ. ა. ბელავინი.

ძლერს სამგლოვიარო მელოდია. მწუხარე დუმილით კუბოს ჩაუვლის სტანიცა ვეშენსკაიას მუშამოსამსახურეებმა, როსტოვის ოლქის საწარმოო კოლექტივების წარმომადგენლებმა, შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საბჭოთა არმიის მეომრებმა.

დგება გამოთხოვების უკანასკნელი წუთები...

გაისმის სამგლოვიარო მარში. მ. ა. შოლოხოვის კუბო გამოასვენეს კულტურის სასახლიდან და საარტილერიო ლაფეტზე დადგეს.

კორტეჟი ნელა მიემართება სტანიცის ცენტრალური მოედნისაკენ. პროცესიის წინ მოაქვთ ძაძით შემკული მ. ა. შოლოხოვის პორტრეტი. ალისფერ ატლასის ბალიშებზე სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედლები „ნამგალი და ურო", ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენები, სხვა საბჭოთა და საზღვარგარეთული ჯილდოები, რომლებიც მწერალს მიენიჭა საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

მოედანი კიდით კიდემდე ხალხით არის სავსე. იწყება მ. ა. შოლოხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა.

საბჭოთა ქვეყანამ, სოციალისტურმა კულტურამ უმძიმესი დანაკლისი განიცადეს, თქვა მან. გარდაიცვალა გენიალური საბჭოთა მწერალი, რუსი ხალხის დიდი შვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვი.

გარდაიცვალა ხელოვანი, რომელიც უკვე დიდი ხანია აღიარებულია საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსად.

მიხეილ შოლოხოვი — კომუნისტი მწერალი ჩვენი ხალხის სიამაყე და სიყვარულია. მის ნაწარმოებებში ღრმად და შთაგონებით არის ასახული ბრძოლა დიდი ოქტომბრის გამარჯვებისათვის, სოციალისტური წყობილების ჩამოყალიბება, ახალი ცხოვრებისათვის ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მასების ბრძოლის ეპოპეა, საბჭოთა ხალხის უბადლო მხედ-

(დასასრული მე-5 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1984 წლის 22 თებერვალს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 88 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პეტრე მიხეილის ძე სარაჯიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პ. მ. სარაჯიშვილის დამკრძალავი კომისია ამხ. გ. გ. ლეჟავას თავმჯდომარეობით.

საქდესის ცნობა

1984 წლის 23 თებერვალს მოსკოვის დროით 11 საათსა და 21 წუთზე „პროგრეს-19" სატვირთო ხომალდი ავტომატურად შეუპირაპირდა „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" ორბიტულ პილოტირებულ კომპლექსს.

კოსმოსური აპარატების ურთიერთძიება, დაახლოება, მიდგომა და შეპირაპირება სრულდებოდა საბორტო ავტომატიკის საშუალებით. ამ პროცესებს კონტროლს უწევდნენ ფრენის მართვის ცენტრი და ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი — კოსმონავტები კიზიმი, სოლოვიოვი და ატკოვი. სატვირთო ხომალდი სადგურს შეუპირაპირდა მისი საგრეგატო ნაკვეთურის მხრიდან.

სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა ორბიტულ კომპლექსს

„პროგრეს-19" ხომალდმა ორბიტაზე მიიტანა სადგურის გაერთიანებული ძრავის საწვავი, მოწყობილობა, აპარატურა, მასალები მეცნიერული გამოკვლევების შესრულებისა და ეკიპაჟის ცხოველმოქმედების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ფოსტა.

ეკიპაჟის მოხსენებებითა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „პროგრეს-19" სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები კიზიმი, სოლოვიოვი და ატკოვი თავს კარგად გრძნობენ.

ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის

ამომრჩეველთა შეხვედრა ჰ. ა. ალიევთან

საბჭოთა ადამიანების მიერ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური კურსის მხურვალე მოწონების თვალსაჩინო დემონსტრაცია, სოციალისტური სახალხო ხელისუფლების გამარჯვების თვალსაჩინო გამოხატულებაა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა.

23 თებერვალს აზერბაიჯანის დედაქალაქში ბაქოს ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ჰეიდარ ალის ძე ალიევს.

შეხვედრა გახსნა პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ი. მუსაევმა.

აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა, მანქანათმშენებელი ქარხნის „ბაქოს მუშის" ელექტრომემონტაჟებელმა მ. ბ. აბდულ-ალიევმა ილაპარაკა ჰ. ა. ალიევის ცხოვრების გზაზე და ამომრჩევლებს მოუწოდა არჩევნების დღეს — 4 მარტს ხმა მისცენ კომუნისტთა ...

ჩვენი საზოგადოების წამყვან ძალის.

საარჩევნო კამპანიის დღეებში, თქვა შემდეგ ჰ. ა. ალიევმა, დიდი დანაკლისი განვიცადეთ — შეწყდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ი. ვ. ანდროპოვის სიცოცხლე. ...

[illegible]

(ტასსი)

ვიაროთ უფრო წინ, მივაღწიოთ მეტს

ამომრჩეველთა შეხვედრა დ. ა. კუნაევთან

[illegible]

(ტასსი 20-ე გვ.)

ეკონომია და ყაირათიანობა მეურნეობრიობის სოციალისტური მეთოდია

1983 წელს საქართველოს სს რესპუბლიკამ ბოლო წლების მანძილზე პირველად წარმატებით შეასრულა ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის მომჭირნეობის საგეგმო დავალებანი. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობის დავალებანი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. ამან გარკვეული როლი შეასრულა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში, რისთვისაც იგი მეთერთმეტეჯერ დაჯილდოვდა სკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

გასულ წელს საქართველოს სამრეწველო საწარმოებში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილებაზე, მიმდინარე წლის ამოცანებსა და სამომავლო გეგმებზე საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ო. ვ. ქვილითაია.**

— **პატივცემულო ოთარ, ორ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ შეიქმნა კომისია, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. რა გააკეთა მან მომჭირნე და ყაირათიანი მეურნეობრიობის პროცესების სისტემური მართვის სრულყოფისათვის?**

— თვალი გადავავლოთ უახლოეს წარსულს. 1980-1981 წლებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომჭირნეობის საგეგმო დავალებანი საშუალოდ 40-70 პროცენტით შესრულდა, ცალკეულ სამეობათა მიხედვით [illegible]

... ნორმატიული მარაგის შემცირების, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და მრავალი სხვა.

ყველა განხილული საკითხის თაობაზე მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რეალიზებულია. ცალკეულ საკითხებზე კომისიამ წინადადება შეიტანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო ჯგუფში, სხვა [illegible]

მ. ა. შოლოხოვის დაკრძალვა

(დასასრული)

[illegible]

მშრომელთა არჩევნებისწინა კრებები

ვიაროთ უფრო წინ, მივაღწიოთ მეტს

(დასასრული)

[illegible]

ხალხისათვის ზრუნვა უმაღლესი მიზანია

ამომრჩეველთა შეხვედრა ნ. ნ. ზლობინთან

[illegible]

23 თებერვალი

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები, საქმესი იუწყება

ახალი სამშვიდობო ინიციატივა

განიარაღების კონფერენციის სესიაზე

ჟენევა. აქ მიმდინარე განიარაღების კონფერენციის სესიაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელმაც წამოაყენა დამატებითი წინადადებანი კონტროლის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ქიმიური იარაღის აკრძალვის თაობაზე მომავალი საერთაშორისო კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს უშიშროებასა და ინტერესებს. მათი მიზანია ამ საკითხის განხილვა გამოიყვანონ ჩიხიდან, რომელშიც იგი დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მიზეზით მოექცა. როგორც სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ლ. ისრაელიანმა განაცხადა, საბჭოთა კავშირი მუდამ მტკიცედ მოითხოვდა ქიმიური იარაღის ყოვლისმომცველ აკრძალვას, მის ამოღებას სახელმწიფოთა არსენალებიდან, მასობრივი მოსპობის ამ სახეობის იარაღის ლიკვიდაციას.

ამის შესაბამისად იგი აყენებდა და კვლავაც აყენებს ამ აკრძალვის დაცვისადმი კონტროლის მრავალრიცხოვან მეთოდებს. მათ შორისაა ეროვნული კონტროლი, ეროვნული ტექნიკური საშუალებების გამოყენება, კონტროლი ადგილებზე ნებაყოფლობის პრინციპის ფარგლებში, საერთაშორისო სისტემატური შემოწმება ყოველწლიური კვოტების საფუძველზე.

გამოკვლევებმა, თქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ცხადყო, რომ ასეთი შემოწმება კონტროლის საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა დელეგაცია, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორების პოზიციას და ნამდვილად დაინტერესებულია მოლაპარაკების პროგრესით, აცხადებს, რომ მზად არის არსებითად დადებითად განიხილოს წინადადება ქიმიური იარაღის მარაგის მოსპობის სპეციალურ ობიექტებზე საერთაშორისო კონტროლის წარმომადგენელთა მუდმივი ყოფნის შესახებ.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ახლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა პარტნიორებმა უნდა გვიჩვენონ თავიანთი განზრახვების სერიოზულობა და მზადყოფნა გამონახონ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, რათა კონფერენციამ შეძლოს გადაწყვიტოს მის წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — შეიმუშაოს კონვენცია, რომელიც კრძალავს ქიმიურ იარაღს.

საბჭოთა კავშირის ახალ ინიციატივას დიდი ინტერესით შეხვდნენ კონფერენციის მონაწილენი.

● იაპონია

პრემიერმა უარყო

ტოკიო. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ი. ნაკასონემ უარყო ოპოზიციური პარტიების მოთხოვნა მომავალ საფინანსო წლის (იგი 1 აპრილს იწყება) სახელმწიფო ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების შემცირების თაობაზე. პარლამენტში გამოსვლისას, იგი ამტკიცებდა, რომ შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის ასიგნებანი თითქოს „მშვიდობის შენარჩუნებისა და იაპონელი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფის განუყოფელი ელემენტია".

იაპონიის კონსერვატიული მთავრობის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს სამხედრო ხარჯების 6,55 პროცენტით ზრდას, იაპონიის მხედრიონისათვის საბიუჯეტო ასიგნებათა ყოველწლიური ზრდის კურსი, რომელსაც ტოკიო ვაშინგტონის სამებლად ახორციელებს, ეწინააღმდეგება ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის აზრს, რომელიც მილიტარიზაციის ხარჯების გაყინვასა და შემცირებას, იაპონიის მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის გზით განვითარებას მოითხოვს.

● ესპანეთი

დააპატიმრეს ყოფილი პრეზიდენტი

ბუენოს-აირესი. არგენტინის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს დადგენილებით დააპატიმრეს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, გადამდგარი გენერალი ლეოპოლდო გალტიერი. როგორც იუწყებიან, მის წინააღმდეგ აღძრეს სასამართლო საქმე იმ „სერიოზული შეცდომების" ბრალდებით, რომლებიც მან დაუშვა 1982 წელს მალვინის (ფოლკლენდის) კუნძულების გამო არგენტინის წინააღმდეგ ბრიტანეთის შეიარაღებული აგრესიის პერიოდში. იმჟამად გალტიერი აგრეთვე სახმელეთო ჯარების სარდალი და მმართველი სამხედრო ხუნტის წევრი იყო.

სასამართლო გამოძიება ინგლისთან ომში დამარცხებისათვის შეიარაღებული ძალების უმაღლეს ოფიცერთა პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით დაიწყო რესპუბლიკის პრეზიდენტის რაულ ალფონსინის განკარგულებით, რომელმაც ეს პოსტი შარშან 10 დეკემბერს დაიკავა.

● აშშ

პრეტენდენტთა საარჩევნო საგრუნავი

ნიუ-იორკი. ამერიკელ მეთვალყურეთა დიდი ყურადღება გამოიწვია აიოვას შტატში გამართული პარტიულ აქტივისტთა კრებების შედეგებმა, რომლებითაც დაიწყო დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ამ ზაფხულის ყრილობებზე წარსაგზავნ დელეგატთა შერჩევის ხანგრძლივი პროცესი. ამ ყრილობებზე დაამტკიცებენ პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებს, რომლებიც ჩაებმებიან თეთრი სახლისათვის ბრძოლაში 6 ნოემბრის პრეზიდენტის არჩევნებზე.

აიოვაში დემოკრატთა შორის შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა უ. მონდეილმა, რომელმაც, უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, მოიპოვა კრებების მონაწილე ამომრჩეველ-დემოკრატთა 49 პროცენტის მხარდაჭერა. მეორე ადგილზეა სენატორი გ. ჰარტი, რომელმაც ხმების 16 პროცენტი მიიღო, დანარჩენები უკან დარჩნენ. არსებული წესების შესაბამისად (რომლებიც, სხვათაშორის, აშკარად ანტიდემოკრატიულია), მონდეილს შეუძლია დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე შტატის 58 დელეგატთაგან იქონიოს 50-ის მხარდაჭერის იმედი (სულ ყრილობას დაესწრება 3933 დელეგატი), ჰარტს — 2 დელეგატისა.

დემოკრატები არჩევნებისწინა კამპანიას ეწევიან თეთრი სახლის მილიტარისტული საგარეო-პოლიტიკური და ანტიხალხური ეკონომიკური კურსის კრიტიკის ლოზუნგებით.

კარიკატურისტის თვალით

რეიგანი ფარისევლურად ამტკიცებს, თითქოს მის დროს ყველა პირობა შეიქმნა „მტკიცე და უსაფრთხო მშვიდობისთვის", თუმცა სწორედ ვაშინგტონს ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა საერთაშორისო დაძაბულობის ახლანდელი გამწვავებისათვის. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, თვით შეერთებულ შტატებში მატულობს შეშფოთება, რომ ადმინისტრაციის პოლიტიკას შეიძლება ომი მოჰყვეს (გაზეთებიდან).



პრეზიდენტის წინასაარჩევნო რენტგენოგრამა.

ბ. ლომიძის ნახატი.

კრესა ადასტურებს

ამაო ცდა

დასავლეთის ძირგამომთხრელი საქმიანობა პოლონეთის წინააღმდეგ

ვარშავა. პოლონეთის შინაურ და გარეშე მოწინააღმდეგეთა ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომლებიც ცდილობენ უკუღმა წარმართონ ქვეყანაში სოციალისტური გარდაქმნების პროცესი, მჭიდრო ურთიერთკავშირშია, წერს გაზეთ „ტრიბუნა ლუდუში" პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ჩასტონი. ანტისოციალისტური ოპოზიციისა და იატაკქვეშეთის ამ საქმიანობას კოორდინაციას უწევენ ნატოს ქვეყნების სპეცსამსახურები. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების ორგანოები ფუშავენ დასავლეთის სპეცსამსახურების დანაშაულებრივ ზრახვებს, ამხილებენ სოციალისტური პოლონეთის გარეშე მტრების დივერსიულ ხვეშებს. ბოლო დროს მათ უჩნებელყვეს იმპერიალისტური დაზვერვის მთელი რიგი კადრის აგენტები, რლკვეთეს პოლონეთის მოქალაქეთა გადაბირების ცდები.

მტრული, გასაიდუმლოებული საქმიანობა პოლონეთის წინააღმდეგ, აღნიშნა მინისტრის მოადგილემ, წარმოებს ნატოს სპეცსამსახურებისათვის დამახასიათებელი სრულიად განსხვავებული მეთოდებით. ამას მოწმობს მრავალი ფაქტი, რომლებიც ადასტურებს კოს-კორის, „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის" არალეგალური ანტიკომუნისტური დაჯგუფების კავშირს დასავლეთის საჯაშუშო უწყებებთან, თუმცა ამ მავნებლური დაჯგუფებების ლიდერები ცდილობდნენ შეენიღბათ თავიანთი კავშირი პოლიტიკური და იდეოლოგიური დივერსიების იმპერიალისტური ცენტრების წარმომადგენლებთან.

დასავლეთის უხვი დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე, განაცხადა ვ. ჩასტონმა, ანტისოციალისტური ოპოზიცია პოლონეთში ვერ იარსებებდა. ჩვენ ვვესმის, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლის ფრონტი გადის არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საჯაშუშო და ძირგამომთხრელი საქმიანობის მხილებაში უშიშროების ორგანოებს ფართო და ეფექტიან დახმარებას უწევს საზოგადოებრიობა, რომელიც იჩენს სიფხიზლესა და კლასობრივ ალღოს.

პ. მ. სარაჯიშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 24 და 25 თებერვალს, 19 საათზე, გამოსვენება — 26 თებერვალს 15 საათზე.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 11, მე-7 სადარბაზო.

რეისები განახლდა

დამთავრდა სოხუმის აეროპორტის გასაშვები კომპლექსის პირველი რიგის რეკონსტრუქცია. 16 თებერვალს, განრიგის თანახმად, აფხაზეთის დედაქალაქიდან კვლავ აიჭრნენ ცაში სამგზავრო ლაინერები. ამ დღეს მოსკოვის მიმართულებით პირველი რეისი შეასრულა ტუ-134 ხომალდის ეკიპაჟმა, რომელსაც პირველი კლასის პილოტი თ. ი. პალჩენკო ხელმძღვანელობს, შემდეგ კი საჰაერო ლაინერები მორიგულ რეისებში წაიყვანეს საფრენოსნო რაზმის პილოტ-ინსტრუქტორმა გ. დ. ნიკოლაიშვილმა, გამოცდილმა ავიატორებმა ს. ა. ეშბამ და ზ. ა. მოლოდცომ.

ამ დღეს სოხუმელმა ავიატორებმა შეასრულეს თექვსმეტი ათასი კილომეტრი რეისები ტუ-134 თვითმფრინავებით და ათასზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს შავი ზღვის სანაპიროდან ლენინგრადში, ოდესაში, კიევში, მინსკში, სვერდლოვსკში, კუიბიშევში, ლვოვში, ბაქოში, ერევანში, კიშინიოვში, დნეპროპეტროვსკში, დონეცკსა და ხარკოვში...

აეროპორტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე მშენებლებსა და სოხუმელ ავიატორებს გულითადად მიულოცეს მოკლე ვადაში როგორი სავიაციო კომპლექსის ათვისება. დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა საკავშირო „სამხრეთგაზმშენის" ტრესტმა. რეკონსტრუქციის შედეგად გადიდდა ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, გამაგრდა გრუნტის ზედაპირი, დამზადდა კავშირგაბმულობის ახალი სანავიგაციო დასაფრენი საშუალებანი, ზოლის გასწვრივ დამონტაჟებულია უახლესი კონსტრუქციის გასანათებელი ხელსაწყოები. ახლა სოხუმის აეროპორტს შეუძლია თვითმფრინავები მიიღოს და გაუშვას ნებისმიერ ამინდში.

— თანამედროვე ტექნიკური კომპლექსის ასათვისებლად ჩვენი ავიატორებიც ემზადებოდნენ, — თქვა ავიასამართის უფროსის მოადგილემ პოლიტნაწილში გ. ა. ფაცაციამ, — პილოტებმა, დისპეტჩერებმა, მიწისზედა სამსახურების მუშაკებმა გაიარეს სპეციალური მომზადება თბილისის, კიევის, რიგის, ულიანოვსკის, როსტოვის აეროპორტებში.

აეროპორტის რეკონსტრუქცია გრძელდება, წელიწადიც, და იგი მიიღებს ყველა ტიპის სამგზავრო საჰაერო ხომალდებს, მათ შორის 350-ადგილიან ილ-86 აერობუსებსა და ილ-62 შორეულ მაგისტრალურ ლაინერებს. (საქინფორმი).

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეორე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ამავე ნომერში დაბეჭდილია სარედაქციო წერილი — საბჭოთა საქართველოს 63 წელი.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „ეკონომიკური განათლების ქსელის პროპაგანდისტთა დასახმარებლად", „პარტიის აგრარული პოლიტიკა — მოქმედებაში!"; „საუბარი მრგვალ მაგიდასთან"; „ტექნიკის სიახლენი"; „ჩვენი ბიბლიოგრაფია"; „ჟურნალი და მკითხველი".

„საბჭოთა მედიცინა" № 1

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის" პირველი ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1983 წლის 19 ნოემბერს.

ნომერში გამოქვეყნებულია სარედაქციო წერილი — ადამიანების ჯანმრთელობა საზოგადოებრივი განძია.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მტკიცე მშვიდობისათვის მთელ პლანეტაზე", „თეორიული და კლინიკური მედიცინა"; „პროფილაქტიკური მედიცინა"; „დემონირებული სტატიების რეფერატები"; „სოციალური ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია"; „ჩვენი კალენდარი"; „გვეკითხებიან, ვუპასუხებთ"; „ქრონიკა და ინფორმაცია".

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 27 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრიანსკი". 9.30 — მოამბე". 10.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სერგო ზაქარიაძე". 11.15 — „ერთიან ძმურ ოჯახში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბულუხეობა". 12.00 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდა გვარდიელი ბორის გლავანი". 12.30 — კონცერტი. 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეშის კარიერა". 13.30 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში (სტუდიაშია რ. კვირკველია). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — მოსწავლეებისათვის — საზოგადოებათმეცოდნეობა (სტუდიაშია გ. სამხარაული). 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — პროგრამა მოსწავლეებისათვის: რუსული ენა (სტუდიაშია ი. მათიაშვილი). 16.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩიპი". 17.10 — „შეხვედრა მწერალთან" (მ. ჯავახა მრევლიშვილი). 17.40 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის — „ცვლა". 18.15 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა. 19.15 — „ნეირომეცნიერებათა პერსპექტივები" (კონფერენცია ბაკურიანში). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — „საერთაშორისო დღიური". 21.05 — „ბალეტის მოყვარულთათვის". 21.55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „ვრემია". 22.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კოლხეთი — 608". 16.45 — მასწავლებლის საათი — ხაზვა. 17.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პეტრის გამოკვლევა". I სერია. 18.25 — მოსწავლეებისათვის — საქართველოს ისტორია.

სამშაბათი, 28 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბილეკი სახლისაკენ". 9.30 — „მოამბე". 10.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მთელი სამეფო ამალა". I, II და III სერია. 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ზ. შუშბურიძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაში გ. ჭიჭინაძე). 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ა. ბათიაშვილი). 16.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეტრომშენებლები". 17.00 — მოსწავლეებისათვის — „წიგნი ჩემი მეგობარი". 18.00 — „მუსიკალური ფოსტა". 18.45 — „სახალხო კონტროლის ეკრანი". 19.15 — ილია ხოშტარიას დაბადების 75 წლისთავი. 19.30 — „მოამბე". 20.05 — კალათბურთი. სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" — კიევის „სტროიტელი" — რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (მატჩი მე-3—მე-4 ადგილისათვის). 21.30 — „არჩევნების შესახვედრად". საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ივანე სამხარაძე (გორის რაიონის სოფელ ხვითის კოლმეურნე). 21.45 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 21.55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „ვრემია". 22.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაბამის კუნძულები". 16.40 — მოსწავლეთათვის — ხაზვა. 17.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პეტრის გამოკვლევა". II სერია. 18.10 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა.

ოთხშაბათი, 29 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაზაფხულის მთებსა და უდაბნოში". 9.30 — „მოამბე". 10.05 მხატვრული ფილმი „თუ შემიყვარდა...". 11.10 — ციკლიდან „მამები და შვილები" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მწვემსების დინასტია". 11.55 — „ჩვენს დიად სამშობლოში". 12.25 — ... „კალინინგრადი". 12.55 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბავშვობა". 13.25 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია გ. გოგოძე). 13.55 — ახალი ამბები. 14.10 — მუსიკალური გადაცემა „კალენდრის ფურცლებზე". 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაშია ნ. ცინცაძე). 16.40 — „ერთიან ძმურ ოჯახში" — ქართული დოკუმენტური ფილმი „ჩვენ ქუჩები ვართ" 17.10 — განცხადებები. 17.15 — მოსწავლეთათვის — „წვართისთვალი". 18.00 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის — „მოგითხრობთ პროფესიაზე". 18.30 — „თვალთაი" — სატელევიზიო ჟურნალი. 19.10 — „აღიარება". ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია — ქართველ მეცნიერს. 19.30 — „მოამბე". 20.05 — სპორტული პროგრამა. 21.30 — „არჩევნების შესახვედრად" — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ვიოლეტა ზორინა (თბილისის ქსოვილ-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის" მქარგავი). 21.45 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალადა". 22.00 — „ვრემია". 22.45 — „არჩევნების შესახვედრად" — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი გრიგოლ აბაშიძე (მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი). 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — განცხადებები. 16.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაზაკური ფილიგრანი". 16.50 მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მე-60 პარალელს იქით". 18.10 — მოსწავლეთათვის — ქიმია.

ხუთშაბათი, 1 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ითმარ-იოლა". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ქართული მხატვრული ფილმი „მიზანი". პირველი და მეორე სერია. 12.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვინ გააღვიძებს აქსელოტლს". 13.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (სტუდიაშია ნ. სიხარულიძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — „ახალი გრამჩანაწერები". 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (სტუდიაშია მ. დოხტურიშვილი). 16.40 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უკვდავების გზები". 16.55 — განცხადებები. 17.00 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმები „ერთ შერქვეშ" და „დილის სიმღერა". 17.30 — „ჯადოსნური სალებავი". 18.10 — კინოჟურნალი „მინდა ვყველაფერი ვიცოდე". 18.20 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 18.55 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — გაბრიელ ჯაბუშანური. 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — „ცეროდენას ეკრანი". 20.55 — „თეატრი და ცხოვრება" (წლის საუკეთესო როლები). 21.55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „ვრემია". 23.00 — „კინოს სამყაროში". 00.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — განცხადებები. 16.40 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა" № 12. 16.50 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკოო ვარაზი". 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

პარასკევი, 2 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი დრო". 9.30 — „მოამბე". 10.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „ჩვენ — მამაკაცები". 12.25 — მხატვრული ფილმი „მეფე სტახის ველური ნადირობა". პირველი და მეორე სერია. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი (სტუდიაშია — ვ. კობახიძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაას და ზურა". 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე) 16.10 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაშია რ. ენუქაშვილი). 16.40 — მოსწავლეთათვის — „მეზღვაურა თეატრიდან". 17.40 — „არჩევნების შესახვედრად" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ინდინრები". 18.15 — „ევრნისაჟი" (საგამოფენო დარბაზებში). 18.55 — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დღევანდელობის მოთხოვნაა. 19.25 — „მოამბე". 20.00 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (მ.). 22.00 — „ვრემია". 23.00 — „საქართველოს სანახსნი — ცისფერ გზებზე". 23.10 — „მიხეილ კალატოზიშვილის ფილმები საზღვარგარეთის ეკრანებზე". 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვაზის აეტოქარხნის არქიტექტურა". 16.45 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.15 — დოკუმენტური ფილმი „მეველაფერი საუკეთესო შენში". 18.10 — მასწავლებლის საათი — მათემატიკა.

შაბათი, 3 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლოგდა". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აფხაზეთი". 10.35 — შევისწავლოთ ქართული ენა. (სტუდიაშია ე. ბაბუნაშვილი). 11.05 — „ხალხური შემოქმედება" — „რეპერტუარა". 11.20 — „პოეზიის ხუთი წუთი". 11.25 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩემი ტკბილი სალამური". 11.35 — შევისწავლოთ რუსული ენა (სტუდიაშია მ. ჩხიკვაძე). 12.05 — „ჩვენი ლაშქარი" — ვუდია არაბული (განმეორებით). 12.35 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა". 13.10 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.15 — „კინომოზაიკა". 14.05 — თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების საკავშირო დათვალიერება—ანსამბლ „ნანის" კონცერტი. 14.25 — „კინოაფიშა". 14.55—„ყრილობაზე ითქვა, რა გაკეთდა"—„ხუთწლედი — წელი მეოთხე". 15.40 — „პოეზიის ხუთი წუთი". 15.45 — ახალი ამბები. 15.55 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი. 16.40 — ეკრანული საბჭები" ა. მიაგკოვი. 17.30 — „პოეზიის ხუთი წუთი". 17.35 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი. 18.10 — „ცვლა" — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. 18.50 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 19.30 — „ოპერეტის ეკრანი". 19.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 20.00 — „მოამბე". 20.35 — ლენინგრადის ესტრადის მსახიობთა კონცერტი — „რას გვიამბობენ ძველი საათის ზანზალაკები". 21.00 — კინონარკვევი. 21.10 — სატელევიზიო მუსიკალური დარბაზი ახალგაზრდობისათვის — „მეგრის პაატა ბურჭულაძე". 21.55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

კვირა, 4 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პიჭვინთა". 9.30 — „მოამბე". 10.05 — „კვირის ტელეეკრანი" (სატელევიზიო გადაცემების ანონსი). 10.30 — „მაღვიძარა" (მ.). 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „საკვირაო გამოფენა". 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „ივაშკა პიონერთა სასახლიდან". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია თ. კვაჭანტირაძე). 13.15 — „დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა" — რეპორტაჟი საარჩევნო უბნებიდან (მ.). 13.30 — სიმღერები პარტიაზე და სამშობლოზე. 13.50 — საკვირაო გამოფენა". 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 14.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ამბავი აფხაზი ქალისა". 15.30 — კონცერტი „აფხნი-67". 16.05 — „ვესტნიკი". 16.35—„საკვირაო გამოფენა". 16.40 — „არჩევნებიდან არჩევნებამდე" — „განახლებული მთა". 17.15 — „მეცნიერების სამყაროში" (სამთო მექანიკის ინსტიტუტი — განმეორებით). 17.45 „საკვირაო გამოფენა". 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფოსუნია — საზღვაო პამ". 18.00 — სპორტული პროგრამა. 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 „მოამბე". 20.40 — აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი. 21.25 — საინფორმაციო გამოშვება. 21 55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „ვრემია". 22.45 — „მსოფლიო და ახალგაზრდობა" (მ.). 23.20 — კონცერტი.

საბჭოთა კავშირის სპორტის ცვლილებები კალენდარში

საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის სპორტულ ასპარეზობათა [illegible] კალენდარში შეტანილ ცვლილებებში [illegible] და თბილისის „დინამოს" პირველი შეხვედრა ბრინჯაოს მედლებისათვის გაიმართება 25 თებერვალს კიევში, საპასუხო კი თბილისში მოეწყობა 28 თებერვალს. თუ საჭირო გახდა, ეს გუნდები 29 თებერვალს ითამაშებენ თბილისში. პირველი ადგილისათვის მოასპარეზე გუნდების — ცსკა-„დღეგარინისის" განრიგი ასეთია: 28 თებერვალს — კაუნასში, 2 მარტს და, საჭიროების შემთხვევაში, — 3 მარტს მოსკოვში.

მამაკაცების პირისპირ და მათზე წინ

ინდოეთში მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. მაია ერთადერთი ქალია ტურნირის მონაწილე მამაკაცთა კომპანიაში და იგივე ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერობს კიდეც. [illegible]

„სპორტკალემ" იხმო ულიერესნი

[illegible]

ჯ. ინუქიძე, (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

მოკლედ

[illegible]

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

24 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — მულტფილმი. 9.30 — მხატვრული ტელეფილმი „ასეც იქნება". პირველი და მეორე სერია. 11.55 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ხუთწლედი თითოეულის საქმეა. დოკუმენტური ფილმები. 16.45 — „მოსკოვი და მოსკოველები". განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს სასკოლო რეფორმის შესახებ. 17.15 — ახალი ამბები. 17.20 — რუსული ენა. 17.50 სტუმრად ზღაპართან. 19.20 — „თანამედროვე მსოფლიო და მუშათა მოძრაობა". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — არჩევნების შესახვედრად. 20.25 — მხატვრული ფილმი „იმედი". 22.00 — „ვრემია". 22.45 — „ვირაჟი". შეჯიბრება სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტში. 00.20 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 — გეოგრაფია. მერვე კლასი. 10.05 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 — გეოგრაფია. მეხუთე კლასი. 12.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.35 — ტიციან ტაბიძე. 14.20 — მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ფერწერა. ა. გ. ვენეციანოვი 15.00 — „ისწავლე და გააკეთე". 15.45 — სამხედრო წლების სიმღერები. 16.15 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — უსაფრთხო მოძრაობა. 19.55 — მოგზაურთა კლუბი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — „დღის სპორტი". 22.00 — „ვრემია". 22.45 — მხატვრული ფილმი „აკვანაუტები". 24.00 ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. (მ.). 9.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სასწაული ფიალა" 9.30—„მოამბე". 10.05 — „ქალაქური ზუქურთმები" (განმეორებით). 11.30 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — მხატვრული ფილმი „ძმობილი". 12.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კუსტანაი". 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი — (ლექტორი ვ. კობახიძე). 13.35 — „ტიციან ტაბიძე" (მ.). 14.20 — ახალი ამბები. 16.00—ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10—ტელეკურსელთათვის—საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ლექტორი რ. ენუქაშვილი). 16.40 — „ჩვენი სოფელი" — სატელევიზიო პროგრამა. 17.25 — „არჩევნების შესახვედრად" — დეპუტატობის კანდიდატი გრიგოლ ტყემალაძე. 17.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სათავეებთან". 18.00 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს — „მოამბე". 21.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თბილისზე ფრიალებს"... 21.55 — „საქართველოს სანახსნი — ცისფერ გზებზე". 22.00 — „ვრემია". 22.45 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „მიზანი". პირველი სერია. 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.15 — განცხადებები. 16.20 — დოკუმენტური ფილმი „სამშობლოს ღირსეული ქარისკაცი". 17.10 — კინონარკვევი „დუშანბე". 17.20 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუდამ ველში". 18.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

თეატრი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — განაცემი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჯაყოს ხიზნები (პრემიერა); თბილისის სახელმწიფო დრამატული, — საზრალდებო დაკვეთა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი; მინიატურების სახელმწიფო — წურე გაფრინდება, წურე მოფრინდება; მეტეხის თეატრი — შეჯიბრ; მოზარდ მაყურებელთა ქართული — წაცარქექია (№ 21 აბონ.)

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07105 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20